MES 3 22 0001361670

26/10/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს იუჯი სკოლა - თეა ელერდაშვილი, დაწესებულების წარმომადგენელი;

ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზია - იღუმენია სიდონია (ელენე დარჩია), დაწესებულების წარმომადგენელი;

შპს ქორალი - ირმა ჯიშიაშვილი, დაწესებულების წარმომადგენელი;

შპს მენაფირის აკადემია - თეიმურაზ მენაფირე, სკოლის დირექტორი;

შპს სკოლა ოპიზა - შავლეგ ურუშაძე, დაწესებულების წარმომადგენელი;

შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია - ნატო ზარნაძე, **დაწესებულების წარმომადგენელი.**

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს იუჯი სკოლა
ნანა მონიავა
იზაბელა იოსელიანი

ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზია
ნოდარ ანგურიძე
ირინა დვალი

შპს ქორალი

გულნარა ხაბურზანია
ირმა ხუციშვილი

შპს მენაფირის აკადემია
ნოდარ ანგურიძე
თამარ მიდელაშვილი

შპს სკოლა ოპიზა
ქეთევან ბაცანკალაშვილი
თამარ ჩხიკვაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 11 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს იუჯი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქორალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს მენაფირის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს სკოლა ოპიზას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს იუჯი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და იზაბელა იოსელიანმა. ექსმპერტმა ნანა მონიავამ განაცხადა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა ორ მისამართზე, ქ. თბილისში და ქ. ბათუმში. შესაბამისად, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 05 და 06 სექტემბერს ქ. თბილისში, ხოლო 07, 08, 09 სექტემბერს - ქ. ბათუმში. ექსპერტის თქმით, ქ. თბილისში მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურული ცვლილებები და მთავრდებოდა სარემონტო სამუშაოები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ხარვეზი სკოლის შეფასების პროცესში არ დაფიქსირებულა, სკოლა იყო განვითარებაზე ორიენტირებული და შეესაბამებოდა სტანდარტებით გათვალისიწინებულ მოთხოვნებს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებები შეთანხმებული ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტმა დასძინა, რომ, რომ სკოლა ახორციელებდა ასევე, საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას - Cambridge Pathway. აქამდე დაწესებულება სთავაზობდა მოსწავლეებს აღნიშნულ პროგრამაში ჩართვას ძირითადი საგაკვეთილო პროცესის მიღმა, მოცემულ ეტაპზე კი პროგრამით გათვალიწინებული საგნები უკვე ინტეგრირებული იყო სასწავლო პროცესში, რაც საათობრივ ბადეშიც იყო ასახული. სკოლა გათვლილი იყო 1350 მოსწავლეზე, რომელთაგან ქ. თბილისში 945 და ქ. ბათუმში 400 იყო გათვალისწინებული. მატერიალური რესურსი აკმაყოფილებდა აღნიშნულ მოთხოვნას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ძალიან კარგი ლაბორატორიები თბილისშიც და ბათუმშიც. სკოლის ორივე ლოკაციაზე ადაპტირებული გარემო შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს. მან აღნიშნა რომ ორივე ფილიალში იყო ე.წ ბრმა ადგილები რაც არ კონტროლდებოდა კამერებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა მითითება სკოლამ მყისიერად გაითვალისწინა და დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, იზაბელა იოსელიანმა, აღნიშნა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ძალიან მოწესრიგებული იყო და გამოყენებული იყო ყველა ლოკაცია მიზნობრივად. მან ასევე ხაზი გასუვა, რომ სკოლას ორივე ლოკაციაზე ჰქონდა სათანადოდ მოწყობილი ბიბლიოთეკა.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული მისია განსხვავდებოდა სკოლის ვებ გვერდზე განთავსებული მისიისგან. სკოლის

წარმომადგენელმა ამოიკითხა სკოლის მისია, და აღნიშნა, რომ ვებ გვერდზე განთავსებული მისია იყო ჩაშლილი. ზვიად გოგუაძემ სკოლას მისცა რჩევა, რომ სკოლის მისია იყოს ერთგვაროვნად წარმოდგენილი ყველგან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინებდა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონია დაინტერესდა, დაწესებულებაში მოსწავლეთა თვითმმართველობის არსებობის საკითხოთ, კერძოდ, მისი თქმით, დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ დაწესებულებაში არ იყო მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვერ მოხერხდა პანდემიის პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო თვითმმართველობის ახლიდან ჩამოყალიბება. თუმცა, წინარე პერიოდში იყო სკოლაში აღნიშნული პრაქტიკა. ვიზიტის პერიოდში სკოლამ აღნიშნულზე ისაუბრა ექსპერტებთან ერთადაც და სკოლა გეგმავდა აღნიშნულ საკითხზე მუშაობას უახლოეს პერიოდში.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლას ჰკითხა თუ როდის ჰქონდათ ჩანიშნული თვითმმართველობის არჩევნები. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არჩევნები ჩანიშნული იყო მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს. ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ სკოლა ვალდებული იყო ჩაენიშნა მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლის სხვა საჭიროებების გამო გადაიწია თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის ვადა.
საბჭოს წევრი, ია გიგიბერია დაინტერესდა სკოლის გამოცდილებით კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა აღწერა პროცესი, თუ როგორ დაიწყო დაწესებულებამ რეფორმის ფარგლებში აღნიშნულ საკითხზე მუშაობა. წარმომადგენლის თქმით, სკოლის ხარისხის მენეჯერი აქტიურად თანამშრომლობდა როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე, დაწესებულების კათედრებთან, ხდებოდა განხილვა სამინისტროსგან მოწოდებული მასალების და კათედრებთან შეჯერება, რამაც გამოიღო შედეგი და სკოლას ჰქონდა მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების ნიმუშები. აღნიშნული გაიზიარეს ექსპერტებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების წარმომადგენელთან და ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით სკოლას ქ. თბილისში შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 945 მოსწავლისათვის, ხოლო ქ. ბათუმში 400 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იუჯი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1345-ით განსაზღვრის საკითხი, მათ შორის ქ. თბილისში 945-ით და ქ. ბათუმში 400-ით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს იუჯი სკოლას (ს/კ: 205258344) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1345-ით, მათ შორის ქ. თბილისში 945-ით და ქ. ბათუმში 800-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ირინა დვალმა.
ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის თქმით დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 13 და 14 სექტემბერს. ექსპერტის თქმით, სკოლა მდებარეობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფერიაში. ნოდარ ანგურიძემ ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა სკოლის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობა. კერძოდ, გიმნაზია ძირითადად ემსახურებოდა შეჭირვებული ოჯახის შვილებს და ამასთან, მოსწავლეები (მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები) სწავლის გადასახადს არ იხდიდნენ. ასევე, სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები მათთვის იყო უფასოდ ხელმისაწვდომი. ექსპერტის თქმით, გარდა ფორმალური სასწავლო პროცესისა, გიმნაზიაში მოქმედებდა სხვადასხვა მიმართულების სახელოვნებო სტუდიები, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ განათლება მიეღოთ ხელოვნების დარგების შემდეგ მიმართულებებში: ფორტეპიანო, სოლფეჯიო, საესტრადო მუსიკა, სიმებიანი საკრავები, ელექტრო და დასარტყამი ინსტრუმენტები, ჩასაბერი ინსტრუმენტები, მინანქარი, ფერწერა, მოდელირება, ბატიკა, გობელენი, თექა, კერვა, ძერწვა, ასევე, ფუნქციონირებდა ჭადრაკისა და ინგლისური ენის წრე. ამასთან ერთად, გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობდა საცხოვრებელსა და კვებითი მომსახურეობის სრულ პაკეტს.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას არ დაუფიქსირდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობა, თუმცა მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა ავტორიზაციის სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაციები. ექსპერტის თქმით, სკოლა სარგებლობდა ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის მესამე მოდელით, რომელიც არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. დაწესებულებამ აღნიშნული შეთანხმების წერილი ვიზიტის პერიოდშივე

გააგზავნა განათლების და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა შემაჯამებელ დავალებებს, კერძოდ, შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადად სკოლას განსაზღვრული ჰქონდა 10 დღე, თუმცა არ იყო მითითებული თუ საიდან იწყებოდა აღნიშნული 10 დღის ათვლა. ნოდარ ანგურიძემ დაამატა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების საკითხთან დაკავშირებითაც გასცეს ექსპერტებმა რეკომენდაცია, კერძოდ, უფრო დეტალურად გაეწერა და აღეწერა ის ნაბიჯები, აქტივობები და ინსტუმენტები, რომლებსაც იყენებდა სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული კომპონენტის შეფასებისას.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა მზაობა მიეღო 120 მოსწავლე, ხოლო თითოეულ კლასში ჰყოლოდა მაქსიმუმ 10 მოსწავლე. აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია ლაბორატორიის შესახებ. კერძოდ, ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის შეტანისას სკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია ჰქონდა სკოლის შენობაში განთავსებული, თუმცა საავტორიზაციო ვიზიტის დროს დაწესებულების ეზოში იყო აშენებული ახალი შენობა ლაბორატორიისთვის, რომელიც სრულად იყო აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. გარდა ამისა, ლაბორატორიაში განთავსებული იყო ე.წ. ჭკვიანი დაფა. ლაბორატორიის აღნიშნული შენობა არ იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ამონაწერში დაფიქსირებული. შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციით სკოლამ ვიზიტის პირველივე დღეს გააგზავნა მოთხოვნა ამონაწერის განახლებასთან დაკავშირებით. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ წარმოადგინა დასკვნის პროექტის მომზადებამდე ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც ლაბორატორიის აღნიშნული შენობა წარმოადგენდა სკოლის საკუთრებას. აგრეთვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში ვიზიტის პერიოდში გააგზავნა წერილი უსაფრთხოების წესისა და პირობების შეთანხმებასთან დაკავშირებით. ნოდარ ანგურიძის თქმით, დაწესებულებას ექიმის კაბინეტი ჰქონდა მესამე სართულზე, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით მათ ექიმის კაბინეტი დამატებით მოაწყეს შენობის პირველ სართულზე, შესაბამისი აღჭურვილობით. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლას ჰყავდა 2 ექიმი და 3 ექთანი, რომლებიც 24 საათიან რეჟიმში უწევდნენ დაწესებულებას მომსახურებას.

ექსპერტმა განმარტა, რომ შენობა იყო ოთხსართულიანი, ხოლო მე-5 სართული წარმოადგენდა მანსარდას, სადაც განთავსებული იყო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და ბენდის ოთახი. ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ თითოეული კლასი აღჭურვილი იყო საგანმანათლებლო რესურსებით.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა შესაბამისი რაოდენობის ადამიანური რესურსი, რომლებთანაც გაფორმებული იყო კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები.

ექსპერტმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ სკოლა ორიენტირებული იყო მოსწავლეების საჭიროებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა გეოგრაფისა და ისტორიის, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიების აღჭურვილობაზე. ასევე, ირინა დვალმა განმარტა, რომ სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ზრუნავდა მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე შეერჩიათ უცხო ენა და გამოთქვამდნენ მზაობას სურვილის შემთხვევაში დაემატებინათ სასურველი უცხო ენა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს, თუ რატომ იყო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის სრული ჩამონათვალი. ასევე, რატომ იყო სასკოლო სასწავლო გეგმაში მხოლო რუსული ენის პროგრამა წარმოდგენილი და მიმდინარეობდა თუ არა სწავლება

რუსულ ენაზე. აღნიშნული კითხვის პასუხად, ექსპერტმა, ირინა დვალმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხები ფიქსირდებოდა გასული წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, ხოლო 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული საკითხები აღარ ფიქსირდებოდა. ირინა დვალმა დაამატა, რომ სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ დამხმარე საილუსტრაციო რესურსად სკოლა საღვთო რჯულის საგანში იყენებდა რუსულ ლიტერატურას, თუმცა სწავლება ხორციელდებოდა ქართულ ენაზე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, თუ რა ზომები ჰქონდა დაწესებულებას მიღებული იქ მცხოვრები მოსწავლეებისთვის. დაწესებულების იურისტმა განმარტა, რომ დაწესებულებას 2022 წლის 4 აპრილიდან აღარ ჰქონდა პანსიონის სტატუსი, თუმცა შეჭირვებული ოჯახების შვილებსა და მშობლის გარეშე მყოფ მოსწავლეებს დამატებით, სურვილის შემთხვევაში საგანმანათლებლო მომსახურებასთან ერთად უწევდნენ როგორც კვებით, ასევე, საცხოვრებლით უზრუნველყოფის მომსახურებას. უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით, სკოლის იურისტმა დაამატა, რომ სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული დაცვის სამსახურთან. აქვე, მან აღნიშნა, რომ სკოლა გარკვეულ პერიოდში ერთხელ მოწმდებოდა სურსათის ეროვნული სააგენტოს და უსაფრთხოების სამსახურების მიერ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა მექანიზმით იგებდნენ მოსწავლეთა მომსახურებით კმაყოფილებას, ხარისხს და როგორ იღებდნენ უკუკავშირს. საბჭოს წევრის განმარტებით, სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონოდა შემუშავებული დოკუმენტაცია, რა მომსახურებასაც ახორციელებდა დაწესებულება ამ პროცესების შეფასების, რომელიც გააკონტროლებდა მოსწავლეთა უკუკავშირს.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, პანსიონი, იყო თუ არა განთავსებული დაწესებულების იმ ტერიტორიაზე, სადაც სკოლას უნდა მისცემოდა ავტორიზაცია. ასევე, თუ იყო სკოლისა და პანსიონის ფართი გამიჯნული ერთმანეთისგან. საბჭოს წევრი დაინტერესდა ასევე, იყო თუ არა მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პანსიონური მომსახურების თაობაზე ხელშეკრულება გაფორმებული. კითხვის პასუხად ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას სკოლისთვის განკუთვნილი ჰქონდა 1879,5 კვადრატული მეტრი და აღნიშნული ფართი გამიჯნული იყო პანსიონური მომსახურების ფართისგან. დაწესებულების იურისტმა განმარტა, რომ სკოლა ავტორიზაციას მოითხოვდა სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ფართზე. რაც შეეხებოდა პანსიონერული მომსახურების თაობაზე მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმებული იყო კანონმდებლობის შესაბამისად.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:36 საათზე
საბჭოს სხდომა განახლდა 17:02 საათზე

საბჭოს რეკომენდაციით, პანსიონური მომსახურებისა და საგანმანათლებლო საქმიანობისთვის განკუთვნილი ფართების გამიჯვნის შესახებ დოკუმენტში და დაწესებულების ყველა სასკოლო დოკუმენტაციიდან სკოლას უნდა ამოეღო სახელწოდებაში შემავალი სიტყვა ,,პანსიონი“. სკოლის წარმომადგენელმა გაიზიარა საბჭოს რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 120 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზიას (ს/კ: 248387892) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

3. შპს ქორალის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა გულნარა ხაბურზანიამ და ირმა ხუციშვილმა. ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 01 და 02 სექტემბერს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის რეკომენდაციებთან დაკავშირებით სკოლას უკვე იყო დაკმაყოფილებული, რაც ეხებოდა შემაჯამებელ დავალებებთან კომპლექსური დავალებების მეტი ინტეგრირებასა და ქიმიის ლაბორატორიის ონკანისა და გამწოვი კარადის დამონტაჟების საკითხი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა წინა შეფასების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა კომპლექსურ დავალებებს და ქიმიის ლაბორატორიაში ონკანისა და გამწოვი კარადის დამონტაჟების საკითხს.
ექსპერტმა ხაზი გაუსვა სკოლის ძლიერ მხარეს, მასწავლებელთა თავდაუზოგავ მცდელობას, კომპეტენციის ფარგლებში, სკოლის თანამშრომლობითი კულტურისა და აკადემიური

ხარისხის გაუმჯობესებისთვის და გამოყო მათი დამოკიდებულება პროფესიული განვითარებისადმი. ექსპერტის განცხადებით, სკოლის მასწავლებლები გამოირჩეოდნენ პუბლიკაციების სიხშირით, სკოლაში იყვნენ გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორები. 2017 და 2020 წელს დაწესებულების 2 მასწავლებელი გახდა ,,მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ კონკურსის ფინალისტი. სკოლის ძლიერ მხარედ გამოვლინდა ასევე, საუნივერსიტეტო მრჩევლის ინსტიტუტის დანერგვა, ,,College Counseling“ -ის პროგრამა, რომელიც სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევდა სკოლის დახმარებით შეერჩიათ მათთვის სასურველი უნივერსიტეტი ევროპასა და ამერიკაში, მოიპოვონ დაფინანსება და მოამზადონ განცხადებები შესაბამისი დოკუმენტაციით უნივერსიტეტებში გასაგზავნად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ არცერთ სტანდარტთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. დაწესებულება სარგებლობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადის III მოდელით. სკოლამ წარმოადგინა საათობრივი ბადის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების კორესპონდენცია. დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ფარგლებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა სავალდებულო სახით: ჭადრაკი (I-IV), ქართული ცეკვა (I-III), რუსული ენა (III-IV), გერმანული ენა (VI-IX), ასევე მე-12 კლასელებისთვის აბიტურის საათებს, ხოლო ფაკულტატური სახით უფასო კლუბების სახით: წიგნიერი (საბაზო/საშუალო საფეხურისთვის), კინოკლუბი (ორიჯგუფი, ერთი დაწყებითი საფეხურისთვის, ხოლო მეორე - საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის), მათემატიკის კლუბი-,,პი“ (საბაზო/საშუალო საფეხურისთვის), ინგლისური ენის კლუბი Kings and Queens club (სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის). სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე, განსაზღვრული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ინკლუზიური განათლების მიდგომები და რეგულაციები.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობის მესაკუთრე იყო თავად შპს ქორალი. სკოლის ტერიტორია იყო შემოსაზღვრული ღობით, სადაც განთავსებული ორი დამოუკიდებელი შენობა. ერთ შენობაში განლაგებული იყო დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, ცეკვის დარბაზი, სააქტო დარბაზი. მეორე შენობაში, რომელიც ხუთსართულიანი იყო, წარმოდგენილი იყო საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა საკლასო ოთახები. სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო სამედიცინო კაბინეტი. სველი წერტილები იყო გათვალისწინებული შენობის ხუთივე სართულზე გოგონებისთვის, ვაჟებისთვის და სკოლის ადმინისტრაციისთვის. კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია განთავსებული იყო შენობის მეხუთე სართულზე. ექსპერტის განცხადებით, სკოლის მატერიალური რესურსი ვიზუალური დათვალიერებით იყო კეთილმოწყობილი და სრულად შეესაბამებამებოდა საგანმანთლებლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო გარემოს.

ექსპერტისგანმარტებით,სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლის ექიმთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის ექიმი იყო ბიოლოგიის უფროსი მასწავლებელი, რომელსაც ექიმის მოვალეობასთან ერთად საათობრივი ბადით განსაზღვრული ჰქონდა ბიოლოგიის საათების ჩატარებაც (6 სთ). სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით და ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რეკომენდებული იყო სკოლის სააათებში ექიმი დაკაებულიყო მხოლოდ ექიმის ფუნქცია-მოვალეობით. აღნიშნული რეკომენდაცია სკოლამ გაითვალისწინა. ესპერტის თქმით, დაწესებულების შენობაში იყო რამდენიმე კიბის უჯრედი, რომელიც არ კონტროლდებოდა ვიდეო კამერით და აღნიშნული სკოლის მიერ მყისიერად იქნა გამოსწორებული ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე. ასევე, ვიზიტის პერიოდში ექსპერტებისგან დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია უსაფრთხოების

მიზნით იზრუნონ ლაბორატორიის სადემონსტრაციო მაგიდის სტანდარტთან შესაბამისობაზე, რომელიც გათვალისწინებული იყო ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 23 ივლისის N370-ე დადგენილების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით. ლაბორატორიის მაგიდა დამზადებული უნდა იყოს უწვი მასალისგან. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა სადემონსტრაციო მაგიდის შეძენის დოკუმენტაცია შესაბამისი ფოტომასალით. ექსპერტის განცხადებით, მესამე სტანდარტთან მიმართებით, შუსაბამობა არ გამოვლენილა.ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 670 მოსწავლე. დაწესებულებას მოთხოვნილი ჰქონდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 900 მოსწავლეზე, რომელსაც სრულად აკმაყოფილებდა სკოლის ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსი და ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ირმა ხუციშვილმა დასძინა,რომ დაწესებულებაში იგრძნობოდა თანამშრომლობითი გარემო და მზრუნველობითი კულტურა. დაწესებულებაორიენტირებული იყო მოსწავლის საუკეთესო ინტერესებზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენელთან. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 30 ს6 ზაციი N140 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 30 ს6 ააცია 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 30 ნოემბერს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქორალის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ქორალის (ს/კ: 206114195) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 30 ნოემბერი.

4. შპს მენაფირის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და თამარ მიდელაშვილმა.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურძიძემ განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 1-ელ და 2 სექტემბერს. ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკად სასკოლო ღონისძიებების ჩატარების ტრადიცია დაასახელა, კერძოდ, სასკოლო საზოგადოება ერთად აღნიშნავდა ისეთ დღესასწაულებს, როგორებიც იყო: 8 თებერვალი - დავით აღმაშენებლის ხსენების დღე; 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე; 14 აპრილი - დედაენის დღესთან დაკავშირებით და 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში მოსწავლეები ამზადებდნენ კედლის გაზეთებს, რომლებსაც გამოფენდნენ სასკოლო სივრცეში და წარუდგენდნენ სასკოლო საზოგადოებას: პედაგოგებს, მშობლებს და სკოლის ადმინისტრაციას.

ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ ექსპერტების მხრიდან სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. ექსპერტმა განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეს შემაჯამებელი დავალების აღდგენის შესაძლებლობა ეძლეოდა იმ შემთხვევაში თუკი მოსწავლე წარმოადგენდა ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთლილს: სამედიცინო ცნობას, მშობლის ახსნა–განმარტებას, შემაჯამებელი სამუშაოს გაცდენის მიზეზის შესახებ, საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელ წერილს. ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ იყო შესაბამისობაში ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე მუხლთან, მაგრამ, ვინაიდან აღნიშნული წესით არ უსარგებლია სკოლას, მას მიეცა რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულ მუხლში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე. შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის შემთხვევაში ესარგებლა ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძიმ განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებული სველი წერტილების არასაკმარისი რაოდენობის გამო, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია სკოლაში სველი წერტილების დამატებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, სკოლაში არსებული სველი წერტილების რაოდენობა საკმარისი უნდა ყოფილიყო მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისათვის. ნოდარ ანგურიძემ, აქვე, დასძინა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე დაყრდნობით, დაწესებულებაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაო სველი წერტილების დამატებასთან დაკავშირებით. აღნიშნული სარემონტო სამუშაოები კი დასრულდებოდა მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს.

ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ სკოლას შენობის პირველ სართულზე მოწყობილი ჰქონდა სველი წერტილი ვაჟებისთვის, რომლის ერთი კაბინა ადაპტირებული იყო სრულად, ხოლო მეორე სართულზე არსებული სველი წერტილი განკუთვნილი იყო გოგონებისთვის, რომელიც არ იყო სრულად სსსმ მოსწავლეზე ადაპტირებული. აღნიშნული წარმოადგენდა ხარვეზს, რის

გამოსასწორებლადაც, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია გოგონებისათვის განკუთვნილი სველი წერტილი მოწყობილიყო ადაპტირებულად. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლამ აღნიშნული ხარვეზი გამოასწორა და გოგონებისათვის განკუთვნილი სველი წერტილი მოაწყო დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სკოლამ ინტერვიუირებისას თავდაპირველად აღნიშნა, რომ შემუშავებული არ ჰქონდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისი საკუთარი წესი. სკოლამ ეს გადაწყვეტილება ახსნა ამავე ბრძანების 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „კერძო სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ წესით და დაიცვას იგი ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს ამ წესით განსაზღვრული პრინციპების სრულად დაცვასა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას“. სკოლამ ვიზიტის მიმდინარეობისას, წარმოადგინა საკუთარი „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. აღნიშნული წესი დაწესებულებას არ ჰქონდა შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტების მხრიდან, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უსაფრთოხებისა და საზოგადოებრივი დაცვის შესახებ წესი შეეთანხმაბინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის თქმით, სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, მიეცა რეკომენდაცია, განეახლებინა დაწესებულების ვებ-გვერდზე ატვირთული ინფორმაცია. ექსპერტმა განაცხადა, რომ თანამშრომელთა პირადი საქმეების ნაწილში არ იყო წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის. ნოდარ ანგურიძემ, აქვე, დასძინა, რომ სკოლის იურისტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში ყველა მათგანმა გააკეთა განაცხადი შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, რის შედეგადაც ისინი ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში მიიღებდნენ აღნიშნულ ცნობებს. ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად ვერ კონტროლდებოდა ვიდეოკამერებით. სკოლის შენობის შიდა სივრცის ვიდეო დათვალიერება არ ხდებოდა კიბის უჯრედებში და პირველი სართულის დერეფნის ერთ ნაწილში. მისი თქმით, სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებდა 2 კამერა, თუმცა სათადარიგო (საევაკუაციო) გასასვლელზე კამერა არ იყო დამონტაჟებული. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის მიმდინარეობისას შეიძინა 3 კამერა, რომლებიც დაამონტაჟა ზემოაღნიშნულ გაუკონტროლებელ ადგილებში.
ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ სკოლას 2016 წლის 6 სექტემბრის N82 გადაწყვეტილების მიხედვით, ავტორიზაციის ვადა მიმდინარე წლის 6 სექტემბერს გაუვიდა, შესაბამისად, დაწესებულებას სასწავლო პროცესი არ დაუწყია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, შემდეგი: გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას ახალი სასწავლო წელი არ დაუწყია, სად იღებდნენ განათლებას ამჟამად სკოლის მოსწავლეები. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სკოლის მოსწავლეების გაკრკვეული ნაწილი სხვა სკოლაში გადავიდა, ხოლო ნაწილი სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებას ელოდებოდა, რადგან სასწავლო პროცესი ისევ აღნიშნულ სკოლაში დაეწყოთ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 350 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა ასევე, შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაწესებულება ითხოვდა საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს, 11 ოქტომბერს, რათა მოსწავლეებს მიცემოდათ შესაძლებლობა უმოკლეს ვადაში ჩართულიყვნენ სასწავლო პროცესში. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მენაფირის აკადემიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს მენაფირის აკადემიას (ს/კ: 216351043) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 11 ოქტომბერი.
საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია, წარმოედგინა ცენტრში დაწესებულების სველ წერტილებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი ფოტო მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულების ვალდებულებას წარმოადგენდა საავტორიზაციო ვადების კონტროლი. მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რეავტორიზაციის თაობაზე განაცხადი დაწესებულებას უნდა წარმოედგინა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. მან იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდებოდა.

5. შპს სკოლა ოპიზას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და თამარ ჩხიკვაძემ.
ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 25 და 26 აგვისტოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის შეფასებისას არ გამოვლენილა ხარვეზები და დასკვნა იყო დადებითი.
ექსპერტის განმარტებით სკოლა ფუნქციონირებდა 1998 წლიდან. მან სკოლის საუკეთესო პრაქტიკად დაასახელა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კიდევ ერთ კერძო სკოლასთან თანამშრომლობა, სკოლაში დასაქმებული პერსონალის მაღალი მოტივაცია, უცხო ქვეყნებში ვიზიტები პრაქტიკის გაზიარების მიზნით. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლის მატერიალური რესურსი სრულიად შეესაბამებოდა თანამედროვე სტანდარტებს. სათანადოდ მოწყობილი იყო ექიმის კაბინეტი, ლაბორატორიები და საკლასო ოთახები. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს შენობის რამდენიმე ნაწილში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულების ამსახველი დოკუმენტაცია დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციისას. სკოლა მზაობას გამოხატავდა საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 650 მოსწავლისთვის. ექსპერტთა შეფასებით, სკოლას ჰქონდა შესაბამისი რესურსი.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში იყო რამოდენიმე საგნობრივი ქოუჩი, რომლებისგანაც იღებდნენ სკოლის სხვა პედაგოგები შესაბამის ინფორმაციას. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლაში მოტივირებული პერსონალი მუშაობდა და იგრძნობოდა ურთიერთთანამშრომლობის მაღალი კულტურა და გუნდურობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან დაწესებულების წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 11 ნოემბერს N139 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მინიჭებული ჰქონდა 2016 წლის 30 ნოემბერს 6 წლის ვადით. მისი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული იყო 570-ით. ახლა კი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა მოთხოვნილი იყო 650 მოსწავლეზე, აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს ჩატარების თარიღიდან - 2022 წლის 11 ოქტომბრიდან. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ოპიზას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 650 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სკოლა ოპიზას (ს/კ: 208218819) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 650-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 11 ოქტომბერი.

6. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულმა აკადემიამ 2022 წლის 14 სექტემბერს ცენტრში წარმოდგინა წერილი, რომლის მიხედვითაც, დაწესებულებას სურდა შეეწყვიტა საგანმანათლებლო საქმიანობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება 2010 წლიდან საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა X, XI და XII კლასებში. ის, ასევე, ახორციელებდა საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, თუმცა, სკოლის წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული პროგრამების სტანდარტები გაუქმდა და, შესაბამისად, 2022 წლიდან პროფესიული სტუდენტები აღარ ირიცხებოდნენ დაწესებულებაში. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, სტანდარტების გაუქმებამ და პანდემიის პერიოდის დამთხვევამ ფინანსურად შეუძლებელი გახადა პროფესიული საგანმანათლებლო პროგამების ფუნქციონირება და მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გავლა მოსწავლეებისთვის არ აღმოჩნდა აღნიშნულ დაწესებულებაში სასურველი. მან, აქვე, დასძინა, რომ დაწესებულებაში ყოველწლიურად ჩარიცხული მოსწავლეების რაოდენობა იკლებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 20 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიას (ს/კ: 202065068) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:11 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა